

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური და სპორტის საქმიანობის კომიტეტისა და პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 3 (891) პარაკევი, 20 იანვარი, 1950 წ. ფასი 80 კაპ.

## ღენინის გზით

**1924 წლის** 21 იანვარს, მოსკოვში მახლობლად გორკაში შეწყდა მავის ცემა დიდი ლენინისა. გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი, საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ფუძემდებელი.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ დღიდან. 26 წლის მანძილზე ლენინის იდეებისადმი უსასღვროდ ერთგული საბჭოთა ხალხი ლენინის დიდი საქმის განმგრძობის—შრომლიური სტალინის წინამძღოლობით ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიდის.

ასრულდებენ რა ლენინის ანდერძს, ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი პროგრესული კაცობრიობის მედროშის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეუჩერებლად მიემართებიან კომუნისტური კავშირის შექმნისაკენ.

ჩვენი საქმიანობის ყველა ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებების საწინდარსა და აუცილებელ პირობას ლენინ-სტალინის დიდი მოძღვრება წარმოადგენს. ამიტომ არის რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში ასეთი გიგანტური ნაბიჯებით, ბუმბერაზული მასშტაბებით განვითარდა და ვითარდება მძიმე ინდუსტრია, ელექტროფიკაცია და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა, ლიტერატურა, ხელოვნება და სპორტი.

საბჭოთა კავშირში სოციალისტური დამყარების ფაქტი ლენინური იდეების ზემოქმედებით მოგვეცილებინა; ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველზე შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი ძალა და ფოლადისებური სიმტკიცე ბრწყინვალედ დადასტურდა დიდი სამშალოს ომის ცეცხლიან დღეებში; ლენინის იდეების ზემოქმედებით ჩვენს საშობლოს აწყვავდა მშვიდობიანი მშენებლობის გმირული დღეები.

სრული განხორციელება პირველი ჩვენი აგრეთვე ლენინის იდეებმა მშრომელთა ფართო მასებთან ფიზიკური აღზრდის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გლადიერ ილიას-მე ლენინს ძლიერ უყვარდა ფიზიკური ვარჯიშობანი. მისი წერილები, ლენინის ახლობელთა და მეგობრების მოგონებები ნათლად ადასტურებენ, რომ ახალგაზრდობის პერიოდში და შემდეგაც ლენინი ძლიერ კოფლატა გატაცებული სპორტის სხვადასხვა სახეებით—ტანვარჯიშით, ციგურებით, ნადირობით, ტარაქით. იგი ბევრ თავისუფალ საათს სიამოვნებით ანდობდა ცურვასა და ტურისტულ გასიარებებს. თავის წერილებში, რომლებსაც იგი ვადასახლებს ადგილებში აგზავნიდა, ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ შრომისუნარიანობის მომატებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებაში მისთვის ფიზიკური ვარჯიშობანი უდიდეს როლს თამაშობდა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ლენინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის

ყოველმხრივი აღზრდის საქმეში. მას მრავალჯერ აუცილებელ პირობად მიიჩნედა სულიერი და ფიზიკური აღზრდის პარალოლი. ლენინის ინიციატივით საბჭოთა სკოლის ბირველივე წელს ფიზიკური კულტურა შემოღებული იქნა, როგორც სწავლების აუცილებელი საგანი.

მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი ლენინის მითითებით გამოშვებული დეკრეტი საყოველთაო-სამხედრო სწავლების შესახებ, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მძიმე დღეებში—1918 წლის გაზაფხულზე გამოვიდა. დეკრეტმა, რომელშიც ფიზიკური კულტურის დიდი ადგილი ეთმობოდა, თავისი წვლილი შეიტანა შინაგან და გარეგანი მტრების განადგურებაში.

ამ ისტორიულ დოკუმენტში ფიზიკური კულტურა აღიარებულია როგორც ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილი, როგორც მძლავრი საშუალება საბჭოთა ხალხის მოსამზადებლად სოციალისტური საშობლოს დაცვისა და მშვიდობიანი შრომისათვის.

გლადიერ ილიას-მე ლენინი, მიუხედავად უამრავი სახელმწიფოებრივი საქმიანობისა, დიდ ყურადღებას უთმობდა ფიზიკური კულტურის საკითხებს. იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარება ხალხის სამსახურს უნდა დაეფუძვნებინათ.

ჩვენს შრომით ქვეყანაში საჭიროა ფიზიკურად გამძლე ადამიანთა, ნებისყოფის, მამაცი, ენერგიული, მტკიცე ადამიანთა მილიონიანი არმიები. მათ ეუფლებით მომავალი, მათი ხელით იქნება მოპოვებული ადამიანთა საზოგადოების ძირითადი საფუძვლების მშენებლობის უფლება.

ლენინის ეს სიტყვები საფუძვლად დაედო მშრომელთა მასების ფიზიკური აღზრდის მთელ საქმიანობას. ლენინის მითითებით შეიქმნა სპორტული ცენტრების, კლუბების, ტანვარჯიშის სკოლების ფართო ქსელი, ჩამოყალიბდა სპეციალური კლუბები, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები... ყოველივე ამან საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას.

უკანასკნელი 26 წლის მანძილზე საბჭოთა ფიზიკულტურული მოძრაობა, ეყრდნობოდა რა ლენინის იდეებს, იზრდებოდა, ვითარდებოდა, იფურჩქნებოდა. მშობლიური სტალინი — ლენინის დიდი საქმის გენიალური განმგრძობი უდიდეს ყურადღებას უთმობს ფიზიკულტურისა და სპორტის შემდგომ აყვავებას. ჩვენი ქვეყნის ფიზიკულტურული და სპორტ-სმენები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად აშხანავ სტალინის ამაყსა და მზრუნველობას ახალი მაღალი მიღწევებით პასუხობენ.

ლენინის დროში, სტალინის წინამძღოლობით, საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცედ მიდიან წინ — კომუნისტურ სფეროში.

### სსრ კავშირის უაღრესი საბჭოს არჩევნების შესახებ

საქართველოს მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეხვედრის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ. რესპუბლიკის ფარდობით-საბჭოთა და საკინიგზო ტრანსპორტზე მოწყობა მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგები. მშრომელთა იკისრეს გავრდილი საწარმოთა ვალდებულებანი და გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა არჩევნების დღეს ახალი საზოგადოებრივი გამარჯვებით შეხვედრენ.

ხალხმრავალი მიტინგი შედგა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლ-მავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. სიტყვებით გამოვიდნენ: საქაბე სამაქროს ბრიგადირი მ. აბუშვილი, მკვიდელი გ. გამხუაშვილი და სხვ.

უდიდესი აღფრთოვანებით დაიწყო აგრეთვე კანდიდატების წამოყენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური და რესპუბლიკური საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიაში წამოყენებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ან. ი. დ. კოკლამაზაშვილის კანდიდატურა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ—საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ან. გ. ნ. ზამბახიძე, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისაგან — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ან. ა. ს. ზოდელავა, კიროვის სახელობის დაზავებულ-მშენებელი ქარხნის მუშათა საერთო კრების მიერ აწყობი საამქროს ცნობილი სტანანოვლი, ზეინკალი ა. ბენდიანიშვილი და სხვ.



ვლადიმერ ილიას-მე ლენინი

### უკანასკნელი ცნობები

#### საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა ბრწყინვალე გამარჯვება

**მოსკოვი, 19 იანვარი. (ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან).** დღეს, დედაქალაქის წითელი არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვან დარბაზში მოხდა ქალთა საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატის სადღესასწაულო დახურვა.

ტურნირის მონაწილეთა გამოჩენას მრავალრიცხოვანი სტუმრები ხანგრძლივ ტაშით შეეგება. ჩემპიონატის შედეგებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის საქმიანობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ან. დ. პოსტინკოვმა.

ტურნირის მთავარმა მსაჯემ ე. ჩულოვამ შეკრებილთა ვაცნო შეჯიბრების შედეგები. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულს მიიღოვა საბჭოთა მოჭადრაკე ლიუდმილა რუდენკო. მეორე ადგილზე გამოვიდა ო. რუბცოვა (სსრ კავშირი), მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ე. ბიკოვამ და ე. ბელოვამ. მესხეთე-ბეჭქსე და მეშვიდე ადგილებზე გამოვიდნენ — შოდე დე სილანი (საფრანგეთი), ე. კელერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და ე. ტრენერი (ინგლისი), მეჩვიდე ადგილზე — ფ. ხეშსკერკი (პოლანდია), მეცხრე — კ. ბენიში (იტალია), მეათე და მეთერთმეტე ადგილები გაიყვეს მ. მორამ (კუბა) და ი. ლანგოშა (უნგრეთი), მეათერთმეტე, მეცამეტე და მეოთხმეტე ადგილები გაიყვეს — გ. გრესერმა (აშშ), მ. კარფმა (აშშ) და ნ. გრუშკოვა-ბელსკამ (ჩეხოსლოვაკია), მეოთხმეტე ადგილი აიღო — ი. ლარსენმა (დანია) და მეექვსმეტე — რ. ვერმანოვამ (პოლონეთი).

საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის სახელით კრებაზე გამოვიდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბ. ნ. ბერმანი. მან საბჭოთა საჭადრაკო სექციის მადლობა უძღვნა ტურნირის საუკეთესოდ მოწყობისათვის და სახელით განაცხადა, რომ ტურნირში გამარჯვებული საბჭოთა მოჭადრაკე ლიუდმილა რუდენკო მსოფლიო ჩემპიონია ქალთა შორის. ბ. ნ. ბერმანი გამარჯვებულს გადასცა დაუნის გვირგვინი. ორკესტრი ასრულეს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. გამარჯვებულსა და ტურნირის მონაწილეთა მიუხედავად საჭადრაკო სექციის თავმჯდომარე ან. მ. ხარლამოვი. მან გამოაცხადა სექციის გადაწყვეტილება ლ. რუდენკოს საპატიო თასით დაჯილდოებისა და ტურნირში გამარჯვებულთა და მონაწილეთათვის ფულადი ჯილდოების მიწოდებას შესახებ. ან. ხარლამოვი კრებას აცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკულტურისა და სპორტის საქმიანობის კომიტეტმა საბჭოთა მოჭადრაკეებს ლ. რუდენკოს, ო. რუბცოვას, ე. ბიკოვას, ე. ბელოვამ მიანიჭა სპორტის ოსტატის წოდება. კრებაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონი ჯადრაკე ლიუდმილა რუდენკო, მ. ბოტკინი, საფრანგეთის ჩემპიონი შოდე დე სილანი, კუბის ჩემპიონი მ. მორამ დასასრულ მოკლე სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი ლ. რუდენკო, რომელმაც განაცხადა: „მე უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ შეველო ღირსეულად დაძვევა ჩემი დიდი საქმიანობის სპორტული ღირსება“.

ტურნირის დახურვას დაესწრნ მთელი რიგი უცხოეთის საელჩოებისა და მისიების წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის ურონალისტები.

### ჩვენი ქვეყნის პირველობაზე შეიბიან ჰოკაივი

**მოსკოვი. (ჩვენი კორ.)** სულ უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობს საკავშირო ჩემპიონატი შინაიან ჰოკეიში.

მიმდინარე სეზონში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის მებრძოლთა რიცხვი გაიზარდა. მათ შეემატნენ „ლოკომოტივის“ (მოსკოვი), „დინამოს“ (სვერდლოვსკი), „დალგავას“ (ჩიგა) და „ბოლშევიკის“ (ლენინგრადი) გუნდები. ახალმა ძალებმა გავ

მოაცოცხლეს ტურნირის საერთო მსვლელობა. ტურნირის ცხრილში პირველ ადგილს კვლავინდებურად ინარჩუნებს გასული წლის ჩემპიონი—ცდკა. არმიელმა ჰოკეისტებმა 10 შეხვედრიდან ათივე მოიგეს. მათ გატანილი და მიღებული შაბების კარგი შეფარდება აქვთ—55:10. მეორე ადგილზე 17 ქულით მიდის მოსკოვის „დინამო“.



# მსოფლიოში ყველაზე დამოკიდებული საარჩევნო სისტემა

## საუბარი ამომრჩევანთა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 9 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდება ამა წლის 12 მარტს. ამ დღეებში უკვე გამოქვეყნდა არჩევნების დებულება. იგი დაფუძნებულია სტალინური კონსტიტუციის, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მიანიჭა დიდი უფლებები და თავისუფლებანი და კანონმდებლობით განამტკიცა ისინი.

ნამდვილი თანმიმდევრული საბჭოთა დემოკრატიზმი, მისი ძალა და ცხოველყოფილობა ნათლად ჩანს საარჩევნო კანონის თვითნებულ ხელშეშობაში. სსრ კავშირის კონსტიტუციის 134 მუხლის საფუძველზე, — ნათქვამია არჩევნების დებულების I მუხლში, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებებს ამომრჩევლები არჩევენ საყოველთაო, თანასწორო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

რას ნიშნავს საყოველთაო არჩევნები? იგი ნიშნავს იმას, რომ ყველა მოქალაქე, რომელიც განსაზღვრულ ასაკს მიაღწევს, კანონით სარგებლობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. ეს დაკანონებულია კონსტიტუციის 135 მუხლით. კონკრეტულად საარჩევნო დებულებით მეთრე მუხლში იგი ასეა განმარტებული: სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებასა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებით არჩევნებში. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შემოღობილი და სასაზღვრო ზონის მცხოვრებლები, რომლებსაც ჩამოერთმეული აქვთ საარჩევნო უფლება. მესამე მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში არჩევიან 23 წლის ასაკიდან.

მართალია, ბურჟუაზიული კონსტიტუციებშიც და საარჩევნო კანონებშიც ლაპარაკია საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, მაგრამ იგი ფორმალურად არსებობს. მრავალგვარი შეზღუდვა მშრომელებს ფაქტურად ართქვს ამ უფლებას, იმასაც, რაც მშრომელებმა მოაპოვეს ათეული წლების ბრძოლებით. ცნობილია თურქეთში უმეღველ ჩაიარა ჩარტისტების ბრძოლამ ამ უფლებისათვის ინგლისში XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

საყოველთაო არჩევნები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ტარდება და მათ ადვილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ვერტუალურ დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემკვიდრეების, ბანკერებისა და კაპიტალისტების სხვა ინანგრების მხრით ამომრჩევლების მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებში, ისინი რომ კიდევ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწო-

### დოს საესებით თავისუფალი და საესებით დემოკრატიული არჩევნები.

რას ნიშნავს თანასწორი საარჩევნო უფლება? ეს უფლება ჩვეულებრივ ესმით როგორც ისეთი დაკანონებული წესრიგი, როდესაც სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ერთნაირი უფლებით სარგებლობს და არც ერთ ამომრჩეველს არ აქვს რაიმე უპირატესობა მეორესთან შედარებით. სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს თანასწორი საარჩევნო უფლება მიანიჭა. არჩევნების დებულების მე-4 მუხლში ეს ასეა ასახული: სსრ კავშირის კონსტიტუციის 136 მუხლის საფუძველზე დებულებით არჩევნები თანასწორია: თვითნებ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ამრიგად ჩვენში არაა არც სარგებლობის არავითარი განსაკუთრებული უფლებათა და უპირატესობათა. მუშას, მოსამსახურესს, მინისტრს, პარტიკომის მდივანს, მარშალს, რიგით ჯარისკაცს, ქალს თუ კაცს, მხოლოდ თითო ხმა აქვს. სრული თანასწორობა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამოიყოფა სოციალისტური დემოკრატიის ქვეყანაშია შესაძლებელი. საბჭოთა კონსტიტუციით ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითნებ მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავს მის მდგომარეობას საზოგადოებაში" (სტალინი).

ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც ბევრს ლაპარაკობენ თანასწორობაზე, მაგრამ ეს მახების თვალის ასახვევად არის მოგონილი. სინამდვილეში იქ ლაპარაკი არ შეიძლება ამაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 მილიონი ზანგიდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ლეგალიზაციის არჩევნებში მონაწილეობს. აქ 50 სხვადასხვაგვარი შეზღუდვა არსებობს, რაც, პირველ რიგში, მშრომელებს ართქვს უფლებებს. ინგლისში კაპიტალისტებს ორჯერ და კიდევ მეტი ხმა აქვთ: ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მეორე იქ, სადაც მისი ფაბრიკა და ქარხანა იმყოფება.

ბევრად ქალებს სრულებით არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ან იგი ძალზე შეზღუდულია. ჩვენი საარჩევნო კანონის მე-5 მუხლი ლაპარაკობს, რომ არჩევნებში ქალებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც კაცებს. ასევე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მყოფნი სარგებლობენ ყოველგვარი უფლებებით აირჩიონ და არჩეულ იქნან (დებულების მე-6 მუხლი). კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრადან სამხედრო პირებს წართმეული აქვთ ეს უფლებები.

რას ნიშნავს პირდაპირი არჩევნები? პირდაპირი არჩევნები ეს ისეთი წესია, როდესაც ამომრჩევლები უშუა-

ლოდ ხმას აძლევენ — ირჩევენ დებულებებს ყოველგვარი საფეხურების გარეშე. სტალინური კონსტიტუციის შემოღებამდე ჩვენში არჩევნები საფეხურებიანი იყო. მაშინ ჩვენთან მხოლოდ ქალაქისა და სოფლის საბჭოების დებულებები ირჩევენდნენ უშუალოდ, დანარჩენებს კი საფეხურებიანი არჩევნებით. მაგალითად, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) ასარჩევად 5-6 საფეხური იყო საჭირო. სტალინური კონსტიტუციის მოქმედებაში შესვლის შემდეგ ჩვენში არჩევნები ყოველთვის პირდაპირია. დებულების მე-7 მუხლში ნათქვამია, რომ დებულებები არჩევნები პირდაპირია, ე. ი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებებს მოქალაქენი ირჩევენ უშუალოდ პირდაპირი არჩევნების გზით.

ეს კი ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს ახლოს გაიცნონ წამოყენებული კანდიდატი და თავის ნებასურვილის მიხედვით მისცენ მას ხმა. არჩევნის შემდეგ კი მათთან იქონიონ უშუალო კავშირი. ეს ზრდის დებულების პასუხისმგებლობას. იოლია დებულებების უკან გამოწვევა, თუ ვერ გამართლა მან ხალხის ნდობა. ამასაც ნათლად გამოსწვევის ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიზმი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არჩევნები საფეხურიანია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტს ირჩევენ უშუალოდ არა ამომრჩევლები, არამედ მათ მიერ ამომრჩეულნი. მრავალსაფეხურიანი იყო სათათბიროს არჩევნები წინათ მეფის რუსეთშიც.

რა არის ფარული კენჭისყრა? სტალინური კონსტიტუციით დაკანონებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევნები ფარულია. ამის შესახებ ლაპარაკია დებულების მე-8 მუხლში. აქ ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია. ამით ჩვენს ამომრჩევლებს სრული უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი ნება-სურვილი. წინათ, 1924 წლის კონსტიტუციით ჩვენში არჩევნები სხვა იყო. ამომრჩეველი ხმას აძლევდა სხვა ამომრჩევლებთან თანდასწრებით და ხელის აწევით. ახლა კი ვერაფერს ვთქვამს, თუ ვის აძლევს ხმას ამომრჩეველი. ფარული კენჭისყრის დროს ამომრჩეველი ისე აესხება ბიულეტენს სპეციალურად მოწყობილ კაბინაში, რომ მას არაფერს უყურებს.

ასევე სრულყოფილი სოციალისტური დემოკრატიზმი ნათლად ჩანს ამომრჩეველთა სიების შედგენაში, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნაში, საარჩევნო კომისიების, დებულებების კანდიდატთა წამოყენებისა და ხმის მიცემის წესში, არჩევნების შედეგების გამოკვლევაში, რაზეც ლაპარაკია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“.

საარჩევნო კანონით მინიჭებული ამ დიდი უფლებების ფართოდ გამოყენებით საბჭოთა ხალხი 12 მარტს თავის უმაღლეს ორგანოში წარგზავნის თავის რჩეულ შეილებს, ხალხის ერთგულ მსახურთ.

პ. ჯოხიძე



საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ნ. ხნიკინა თავის სკოლის მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურის ფართო პოპულარიზაციას ეწევა. სპორტზე: ნ. ხნიკინა (ცენტრში) თბილისის ქალთა 22-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებთან ატარებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ფოტო ლ. დორენსისა

## მეხრთნელთა საბჭოს დაგვიხუბა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა მძლეოსანთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდის მწვრთნელად 1950 წლის სეზონში დამტკიცა: ბ. დიაჩკოვი, ა. ქარცივაძე, თ. ლაქერბაი, ვ. სამსონაძე, ბ. ტახტაროვი, ა. ტარასევიჩი, კ. მალიშკოვი, თ. მიახაელი, დ. მიახაერიძე, შ. კილაძე, გ. ათანუაშვილი, პ. თედევეი (სტალინური), ნ. ტრეგუბოვა, ე. ალიშანივი (ქუთაისი), ა. კუკი (ბათუმი), ი. ეგნატაშვილი (გორი).

მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელთა საბჭო დამტკიცებულია შემდეგ შემადგენლობით: ლ. გიორვაძე (თავმჯდომარე), თ. ლაქერბაი (მთადგომელი), ნ. ტრეგუბოვა (მდივანი), ბ. დიაჩკოვი, ა. ქარცივაძე, ვ. სამსონაძე, ა. ტარასევიჩი, კ. მალიშკოვი, ბ. ტახტაროვი, თ. მიახაელი, ა. მეტრეველი.


## აზნაუთის დღეაქაქი

დაუღვარი ზღვის ტალღების ხმაური, მთიდან საამო ნიავის ქროლვა თითქოს მოგიწოდებს და თან გაულებს — იყო კუნთბაგარი, მძლე და შეუპოვარი, ფიზიკურად იმოქმედო და ავითარო შენი სხეული...

და ამ სანეტარო მხარის — აფხაზეთის მთავარ ქალაქში გზვდებით სხვადასხვა დანიშნულების მრავალსპორტულ ნაგებობას, რომლებიც აქამოფილებენ იქ მყოფ ფიზკულტურელთა მოთხოვნილებებს. სოხუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალქო კომიტეტის (თავმჯდომარე ა. გუგუქორი) განკარგულებაშია ერთი კეთილმოწყობილი სტადიონი, კალათბურთის 14 და ფრენბურთის 19 მოედანი, ხუთი სასპორტო დარბაზი, ტანვარჯიშის ოთხი ბაქანი, ერთი ჩოგბურთის კორტი, წყალბურთის დარბაზის სადგური და სხვა. ამას გარდა, მიმდინარე წლის დამდგისათვის მათ კიდევ რაპდურს ახალი ნაგებობა შეემატა. ასე, მაგალითად, სპორტსკოლაში მოეწყო ერთი დარბაზი, სადაც ზამთრის სეზონში ფრენბურთისა და კალათბურთის ცენტრალური სექციები გაევიან საწვრთნელ მეცადინეობას. ასეთივე სახის დარბაზები მოეწყო ქალაქის ქალთა პირველ და მეორე საშუალო სკოლებში, დასასვენებელ სახლში „განათიადში“ და სხვ.

ი. არსენია (ჩვენი სპეც. კორ.)

სოხუმი.




## მ. ი. ლენინის მიერ მართი საინტერესო ეტიულის ამოხსნის შესახებ

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ძლიერ უყვარდა ქართული; ყოველთვის, როგორც კი თავისუფალ დროს იპოვიდა, ქართულს დაფას მთავადებოდა ხოლმე. ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ლენინი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მაშინდელ ქართულ ეტიულის მათაყნებელ საქართველო ეტიულებსა და ამოცანებს და მათ ამოხსნას აწარმოებდა.

ამხ. დ. ი. ულიანოვი თავის მოგონებაში წერს, რომ 1910 წლის დასაწყისში მან ვლადიმერ ილიას-ძეს გაუგზავნა თავისი ორგანიზაციის ამოცანა, რომელიც მათაყნებელი იყო „ნივას“ დამატებაში.

ვლადიმერ ილიას-ძე ძმას საბასუხოდ შემდეგ წერს: „17 თებერვალი. 1910 წელი. ...შენა ამოცანა ადვილად ამოვხსენი, მაგრამ აი, დღეს „რჩევი“ ვნახე ეტიუდი, რომლის ამოხსნა ერთმახად ვერ შევძელი და რომელიც მე ძლიერ მომიწონა. ...თეთრები იწყებენ და იგებენ. რა ლამაზი რამ არის!“

ეს იყო ძმების — ვ. დ. პლატოვი-ბის ეტიუდი, რომელმაც ერთ-ერთ კონკურსზე პირველი ჯილდო მიიღო. ქვემოთ ვათავსებთ პლატოვის ეტიუდს.



ეტიუდის გადაწყვეტას მოვითავსებთ ერთ-ერთ მორაგ ნომერში.

## მოიღონ მშენებლობა

ქობულეთი. (ჩვენი სპეც. კორ.) ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შენდება კალათბურთის მოედანი. მოედნის მშენებლობაში მეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდობას აქტიურად ეხმარებიან ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები.

## ჩვენი სამშობლო ტექნიკის ისტორიკოსი

1801 წლის სექტემბრის წინა დღით აზნაურებული იყო მოსკოვის ქუჩები: ტარდებოდა ოფიციალური შეიმი — იმპერატორ ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევა.

შეიმის დროს მოულოდნელად გამოჩნდა პროცესია, რომელსაც ხალხმრავალი ბრბო მოჰყვებოდა.

მის წინ რაღაც საოცარი სახიფათო ადამიანი მოძრაობდა. იგი გადამჯდარი იყო რკინის ორ წვრილ ბორბალზე. ადამიანი ფეხებით მიბჯვნილი მქონდა პატარა საფეხურებზე წინა ბორბლის დერძთან.

საერთო განცვიფრებას იწვევდა ის, რომ სახიფათო თვით მიგორავდა და არ ვარდებოდა ძირს, თუმცა მისი ბორბლები დაუენებული იყო არა ერთი მეორეს გვერდით, როგორც ორთვალაშია, არამედ ერთი წინ და ერთი უკან.

„ოვითგორიას საზიდზე“ მგდომი

## პირველი პელოსიკაი

ადამიანი გვარად არტამონოვი იყო. იგი მოსკოვში ჩამოვიდა შორეული ურალის ვერხოტურსკის მაზრიდან — აი ასე, თავისი კონსტრუქციის „ოვითგორიას“ გადამჯდარი.

ამის შესახებ გავკრით მოგვითხრობს „ვერხოტურსკის მაზრის დეპუტატი“, რომელიც სვერდლოვსკის საოლქო ბიბლიოთეკაში ინახება. დეპუტატი ადინშნულია, რომ ვერხოტურსკის თავადაზნაურობამ, რათა დაეშახურებინა „მისი უმაღლესობის ყურადღება“, ყმა გამოგონებელი „ოვითგორიას“ მოსკოვს გაგზავნა და უბრძანა გამოცხადებულყო დედაქალაქში ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევის დღეს. არტამონოვმა თავისი „ოვითგორიას“ უდიდესი მანძილი დაფარა რუსეთის ძნელსაველ გზებზე, მაგრამ დანიშნულების ადგილზე დროულად მივიდა.

ალექსანდრე პირველმა, როგორც დეპუტატი იუწყება, დააჯილდოვა „ოვითგორიას“ გამოგონებელი — თავისუფლება მისცა ყმას. არტამონოვი კვლავ თავისი „ოვითგორიასი“ დაბრუნდა სამშობლოში.

ასე გახდა ჩვენთვის ცნობილი მსოფლიოში პირველი ველოსიპედის დაბადება და მსოფლიოში პირველი ველოსიპედისა, რომლის საერთო სიგრძე 5.000 კილომეტრს აღემატებოდა.

დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ ველოსიპედი გამოგონებული იყო საზღვარგარეთ, ხოლო გამოგონებლად თვლიდნენ გერმანელ დრეზას, რომელმაც 1818 წელს გამოიგონა „სარბენი საზიდი“. ამ სახიფათო შემდეგანაირად მოძრაობდნენ: გადაჯდებოდნენ ზემოდან და მიწაზე ფეხების დაკრით მოჰყავდათ იგი მოძრაობაში. სატერფული (პედალი) მას არ მქონდა. თვლიდნენ აგრეთვე, რომ ველოსიპედის წინა ბორბლის მოძრაობაში მოსაყვანად პირველი სატერფული დადგმულ იქნა ინგლისელი მექანიკოსის მაკ-მილანის მიერ 1840 წელს, ხოლო ხუთი







ევროპის სტადიონებზე

სპორტული მიმობილება

მსოფლიოს სტადიონებზე ჩატარდა გასული წლის სეზონის მძლეოსანთა უკანასკნელი შეჯიბრებები. ყველა სახელმწიფოში გათამაშდა ნაციონალური პირველობები. ეს საშუალებას გვაძლევს შევჯამოთ შარშანდელი სეზონის ზოგიერთი შედეგი.

ზე რბენაში (10,6) მან თავის ქვეყნის რეკორდი გაიმყარა. მრავალმხრივ სპორტსმენ ადამიკის ეკუთვნის რესპუბლიკის რეკორდი სიგრძეზე სტომაში—7,44 მეტრი. სამამაგ ხტომაში წარმატებით გამოდის პოლანის (14,37 მეტრი), მტყორცნელთა შორის გამოირჩევა ლომოსკი, რომელმაც ბადრო სტყორცა 45,70 მეტრზე და ბირთვი ჰკრა 15,27 მეტრზე.


რუსს, იაპონს და ხიოტს, რომლებმაც გასულ წელს გააუმჯობესეს სხვადასხვა რეკორდები ქალოშვილთათვის ასევე მუშაობს ჩეხოსლოვაკიაში ზატოპეკი, უნგრეთში—ნემეტი და სხვ. ამ ქვეყნებში მძლეოსანთა მიღწევების ზრდაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს მეგობრობის მატჩებმა და რაც მთავარია, საბჭოთა სპორტსმენების წარუბრების ტექნიკის და მეთოდების შესწავლამ. ამის დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს ჩეხოსლოვაკელ მტყორცნელთა — კომარკოვს და ზატოპეკს, რუმინელ სეტერის მიღწევები. პირველებმა ნ. ლუმბაძესთან და ნ. სმირნიკაიასთან შეხვედრების, ზოლო მეორემ—ი. ილიასთან შეჯიბრების შემდეგ—მევეთრად გააუმჯობესეს თავიანთი შედეგები.

1949 წლის სეზონში უნგრელმა მძლეოსნებმა მატჩები მოუგეს იტალიის გუნდს ანგარიშით 104:97; ჩეხოსლოვაკიისას—108:93; ავსტრიისას—59,5:43,5; რუმინეთისას—128:95.

აღბანეთის მძლეოსნობა განვითარების საწყის მდგომარეობაშია. აქ ეს სახე მშრომელი ახალგაზრდობის სულ უფრო ფართო მასებს იზიდავს. წინათ აღბანეთის ახალგაზრდობა მოკლებული იყო სპორტს. გასულ წელს კი დამყარებულია მრავალი ნაციონალური რეკორდი. ყურადღებას იპყრობს ზ. ფრანკის შედეგი 100 მეტრზე—10,9 და ა. კოიას—800 მეტრზე—2:04,3.

თუ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობისათვის საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების საერთო აღმავლობასთან ერთად, დამახასიათებელია წამყვან სპორტსმენთა მიღწევების ზრდა და სპორტის მასობრივობა, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი, ინგლისი, ბელგია, შვეიცია, ფინეთი და ნორვეგია, ამჟამად ეცემა სპორტული შედეგების დონე.

ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნებმა თავი გამოიჩინეს საბჭოთა სპორტსმენებთან მეგობრობის მატჩში მოსკოვში, სადაც მათ დამყარეს რამდენიმე ნაციონალური რეკორდი. მოსკოვლებს ახსოვთ ენერგიული გორჩიცი, რომელმაც ბუდაპეშტში თავისი ქვეყნის სარეკორდო შედეგს მიაღწია 200 მეტრზე რბენაში—21,5. 11,0 წამზე ნაკლებში მოაწვდინეს ლაზნიჩკამ და შმიეკმა 100 მეტრის დაფარვას. შესამჩნევად იმედოვნებს თავის ოსტატობას თარჯიმანბერი ტოშარი. შარშან მან სამჯერ გააუმჯობესა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი 110 მეტრზე. მისი უკანასკნელი შედეგია 14,8 წამი. 800 და 1.500 მეტრზე რბენაში თავი გამოიჩინეს ვაცლავმა და ჩეგოვამ. ამ მანძილებზე მათ მიერ ნაჩვენებია დრო შეფარდება—1:51,6 და 3:49,4. ყველაზე შორს ჰკრავს ბირთვის კალინა—14,46 მეტრი. მაღალი მაჩვენებელი აქვს შუბისმტყორცნელს კიხევეტერს—71,6 მეტრი. ქალთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა ოლია შიციწეროვა. მას ეკუთვნის თავისი ქვეყნის რეკორდი 100 მეტრზე რბენაში—12,0. თარჯიმანმა მისი შედეგია 11,9.



პოლონეთის უძლიერესი სპორტსმენი, სახალხო რესპუბლიკის ჩემპიონი და რეკორდსმენი სტაჟიკი.

სპორტული მიღწევები განსაკუთრებით ჩამორჩება ოდენოვან ამ მხრე ძლიერ შვეიციას და საფრანგეთში. ომადელ წლებში შედეგმა საუკეთესო მორბენალების სახელი დაიმსახურეს საშუალო და გრძელ მანძილებზე. მაგრამ ახლა ამ სახეებშიც შვეიციის უძლიერეს მძლეოსნებსაც კი არ შეუძლიათ ბევრი დაიკვივნონ.

თუ გადავხედოთ რუმინეთის მძლეოსნური რეკორდების ცხრილს, თვალში გვეცემა ასეთი ფაქტი: თითქმის ყველა რეკორდი განახლდა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. 1948 წელს დამყარებულ იქნა 100 რეკორდი, გასული წლის სეზონში თითქმის 50. ასეთი წარმატება შემთხვევითი რილია. მასობრივ შეჯიბრებებში აქ ყოველწლიურად ასიათასობით მძლეოსანმა მონაწილეობა მიიღო. ამან გამოაშთაფნა მრავალი ნიჭიერი მორბენალი, მტყორცნელი, მოხტუნავე.

სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში მძლეოსნობა ნამდვილად მასობრივი, სპორტის სახალხო სახედი იქცა. კროსები და ამანათრებები ყოველწლიურად ავლენენ მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას. აღბანეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში სპორტი სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. შექმნილია საწვრთნელი ცენტრები, რომლებიც ყველაზე სარგებლოდ პარტიული და პარტკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით. ახალგაზრდა მძლეოსანთა აღზრდის საქმეში ჩაბმული არიან რეკორდსმენები და ჩემპიონები. ასე მაგალითად, რუმინეთში მორბენლებთან მეცადინეობს ცნობილი სპრინტერი იონ მოანა, თარჯიმანბენლებთან რეკორდსმენი ლიდისლავ კისი. ჩემპიონი ზეთჰილში ლეიზა ერნსტი თავის გამოცდილებას უზიარებს „მუშა ახალგაზრდობის თასზე“ შეჯიბრების მონაწილეებს.

დაბალი შედეგები აქვთ ჭოკით მებრძოლებს. პირველობებზე ნაჩვენებია იყო ასეთი შედეგები: საფრანგეთში—3,90 მეტრი, ბელგია—3,60, პოლონეთში—3,66 დანია—3,85. უროს ტყორცვაში ძლიერ იშვიათია შედეგი 50 მეტრს ზევით, ხოლო ბირთვის კვრაში—15 მეტრს ზევით.



ჩვენს სამშობლოს ულამაზესი სახალხო კურორტი — ბაყურაინი მეთილამურეთა საყვარელი ადგილია. აქ ყოველწლიურად თავს იყრიან, საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებს ატარებენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სამთო-მეთილამურე ბი. თებერვლის პირველ რიცხვებში აქ შედგება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე-მეთილამურეთა შეხვედრები, შემდეგ კი—საქართველოს ჩემპიონატი სათილამურო სპორტში. სურათში: ბაყურაინის პეიზაჟი. ფოტო კ. კრიშკისა

ფეხბურთი თბილისის დინამოელები სახალხო ნაკრებს უმადგენ

იანვრის პირველ რიცხვებში საფეხბურთო სამედიცინო შემოწმების შემდეგ ლ. პ. ბერაის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სანიმუშო სასპორტო დარბაზში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი უფროსი მწვრთნელის — სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. სოკოლოვის ხელმძღვანელობით შეუდგა მზადებას მომავალი სეზონისათვის.

ფლობის ტექნიკის ამაღლებას, ახალი ტექნიკური ილეთების შესწავლასა და დარტყმის სიზუსტის სრულყოფას. სახალხო წვრთნის ამ ნაწილს ეთმობა თვითელი მეცადინეობის არანაკლებ ნახევარი დრო. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღე 2 საათს. პრაქტიკული ვარჯიშის გარდა სათანადო დროა გამოყოფილი ფეხბურთელთა თეორიული დონის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით კი ტაქტიკის ათვისებისათვის.

დინამოელთა კოლექტივი შეესებურება რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელით, რომლებმაც ამ სოკოლოვი გულმოდგინე მუშაობას აწარმოებს. გუნდის ხელმძღვანელობის მთავარი ყურადღება მიმართულია სანიმუშო რეზერვის შექმნისკენ. ინდივიდუალური მუშაობის უკეთესი წარმართვისათვის მოთამაშეები დაყოფილი არიან 4 ჯგუფად და მათთან მუშაობა წინასწარ გააზრებული გეგმიონა დატვირთვით სწარმოებს.

მეცადინეობის პირველი დღეებიდანვე გუნდის ხელმძღვანელობამ ამოცანად დაისახა პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის სწორი ორგანიზაცია, რადგანაც ესაა მოთამაშეთა მომზადებისა და მაღალი მორალური თვისებების გამოუმუშავების საწინდარი.